სახალხო გაზეთი

№ 491 სამშაბათი, 3 იანვარი, 1912 წ. № 491

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо Газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ჟურნალ- გაზეთების საააგენტო

იმერეთი

—ქუთაისში—

ამით აცხადებს, რომ ის იღებს ხელის მოწერას

1912 წ. „სახალხო გაზეთ“-ზე

და ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ იმავე დილით, რა დღესაც ტფილისში გამოდის „იმერეთის“ კანტორიდან.

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისთანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.**

წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს **29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**

27 დეკემბერს გარდაიცვალა

ნიკოლოზ ბესარიონის ძე

ლოლობერიძე.

წირვა და ააღერძი დღეს დილის 10 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბეში. (1—153—1)

კნეინა თმარ ალექსანდრეს ასული ვახვახიშვილისა, შვილებითურთ, დ. კნეინა ელენე ლევის ასული ვახვახიშვილისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 3 იანვარს, თავრიზიდან მოასვენებენ პირველის—შვილს, ხოლო მეორის მეუღლეს

იაკ. არჩილ ვახვახიშვილს.

ტფილისის სადგურზე დილის 11 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. განსვენებულს წაასვენებენ თელავში. დაკრძალვა თელავში, ‌‌ იანვარს.

დიმიტრი გრიგოლის ძე მიროტაძე შვილებითურთ: გიორგი, პელო და ნინო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ოთხშაბათს, 4 იანვარს, სიების ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის თავზე წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ეკატერინე გიორგის ასულის მიროტაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დილის 9 საათზე, პანაშვიდი—11 საათზე. (1—155—1)

ტფილისს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქუჩა, ქლენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, სიმღერა (solo) მუსიკ. თეორიისა, ნოტების კითხვის (solfegio), ჰარმონია, ენციკლოპედიის და ხოროს კლასებში დაიწყება 2 იანვრიდან, ყველ დღე (კვირა-უქმეების გარდა), დილის 10-დან 2 საათამდე და ღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოს, ვიოლონჩელის და კონტრაბასის კლასებში ღირს 60 მ. წელიწადში, სკრიპკის კლას. 60 და 75 მან. სიმღერა (solo) 75 მ. თეორეტიულ კლას. 15 მან. სწავლის ფასი, ნახევარის წლისა უნდა შემოტანილი იყოს წინდაწინ. (7.151.2)

თელავის განყოფილებ ს

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

მიიღება ხელის მოწერა **„სახალხო გაზეთ“-ზე.**

თელავის განყოფილების

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

(ზემო ბაზარზე, სოლოლოევის მაღაზიაში)

იყიდება ყოველ-გვარი საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები და წიგნები. აქვე მოწყობილია ჟურნალ-გაზეთების აგენტურა.

ვთხოვთ წიგნების გამომცემელთ, ახლად გამოსული წიგნები საკომისიოდ გამოგვიგზავნონ. (3.1676.2)

ყველაზე ძალიანა სადდება

პაპიროსი

„მარსი“,

20 ცალი 5 კაპ.

რისთვისაც ბევრმა ქარხანამ **სიყალბეს** მიჰყო ხელი, ამიტომ გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ფირმას. **ნამდვილ პაპიროს „მარსს“** უნდა ჰქონდეს წარწერა:

„ძმ. სეილანოვები“.

(100.1622.16)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 12½—1½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავად.	**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. (წ.—1089—236)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ქლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და საღამოს 5 7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100 1534 67).

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული დაიყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 203)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 0).

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს, დილით 3--9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 5).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“

(წლ. 1090 242)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12--1 საათამდე საღამოს 6--8 საათამდე. სერგეევის ქ. 8. (თ. 1545 54).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

დოქტორი მედიცინისა

ე. ი. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 75)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-მდე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1 2 საათამდე.

ვაჟკოვი ქირურგ. ყოველ-დღე 12 1.

მონსე ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ-დღე, გარდა კვირა უქმისა 1½ 3 საათ.

კალამქაროვი ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12 1 საათ.

უკლადნიკოვი შინაგ. ავად. ყოველდღე 4 5 საათ.

რიდელი შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა. ხუთშ. და კვირისა 12 1 საათ.

თეთრაძე სიფ. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1 3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½ 12½ საათ.

რუდენკო შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3 4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოველ-დღე 2 3 საათ.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11 12 საათ.

ყალამქაროვი ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 2 3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1526 37).

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.6)

ექიმი კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552--23.

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.36).

ექიმი მ. ს. კობერიძე ქ. გორში

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5--7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 14)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100 1117 65).

ვულოცავ ახალ წელს

და ვუსურვებ ყოველ კეთილს ნათესავთ, ნაცნობებსა და მეგობრებს.

(1.156.1) **მიშა კაიშაური.**

უმაღლესად ებოძათ

წმ. ანნას პირველ ხარისხის ორდენი პეტერბურგის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარეს **რუაძეს.**

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა ამიერ-კავკასიის ინსტიტუტის ექიმს **როზენბაუმს.**

ტფილისი, 3 იანვარი

ავადმყოფი ფანტაზია.

ჩვენი მკითხველი ძალიან კარგად იცნობს „ნოვოე ვრემია“-სა და მის თანამშრომელს მენშიკოვს. ეს ის გაზეთია, რომელშიაც თითქმის ყოველ-კვირა იბეჭდება ხოლმე კავკასიიდან მოწერილი, ინსინუაციებით სავსე კორესპონდენციები ვინმე ზატერიანისა. თითქმის ყველა ეს კორესპონდენციები ისეთი დაუსაბუთებელია, იმდენ დამახინჯებულ და ტენდენციურ ცნობებით სავსე, რომ ძალაუნებურად ღიმილს იწვევს იმათს სახეზე, რომელნიც კავკასიასა და მის ადგილობრივ მცხოვრებთა ვითარებას კარგად იცნობენ. ინსინუაციებით სავსე კორესპონდენციები შეიძლება სრულიად უყურადღებოდ დავტოვოთ, მაგრამ, როდესაც „ნოვოე ვრემია“-ს ამ ტენდენციურ ცნობებიდან ახირებული დასკვნა გამოჰყავს, გაჩუმება შეუძლებელი ხდება.

პროგრესიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა, საუბედუროდ, ძალიან ნაკლებად იცნობს კავკასიას. მხოლოდ „ნოვოე ვრემია“ აწვდის სისტემატიურად რუსეთის საზოგადოებას თავის ტენდენციურ ცნობებს.

„ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომელს მენშიკოვს ყველგან და ყოველთვის რუსეთის სახელმწიფოს მტერნი ელანდება. რა გასაკვირველია, რომ კავკასიასაც ისე უცქეროდეს, როგორც სეპარატისტთა ბუდეს? მაგრამ ფანტაზიასაც ხომ შეიძლება საზღვრები ჰქონდეს? მენშიკოვი თავისი წერილით ნათლად ამტკიცებს, რომ მის ავადმყოფ ფანტაზიისთვის ბუნებას არავითარი საზღვრები არ დაუდვია. მენშიკოვი ოსმალეთთან ომის მოლოდინშია და ჰგონია, რომ ეს ომი აუცილებლად „მთელი კავკასიის აჯანყებას“ გამოიწვევს. მაჰმადიანები პანისლამისტურ აგიტაციით არიან გატაცებულნი, სომხები—დაშნაკცუტუნის ქადაგებით, ქართველები კი ავტონომიურ და სოციალისტურ იდეებით, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. დაშნაკცუტუნის პარტიას ჰყოლია, თურმე, ორასი ათასი ჯარი და არტილერია. მოძრაობის დროს წინადადებაც კი მიუცია ნამესტნიკისთვის, თუ სომხებს ავტონომიას მისცემთ, ჩვენ ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ გავალაშქრებთო. ნამესტნიკს ეს წინადადება არ მიუღია.

აი ასეთი სიცრუითაა სავსე მენშიკოვის წერილი. ამ უცნაურ ცნობების დარღვევა საჭიროდაც არ მიგვაჩნია. თვით სინამდვილე ჩვენზე უკეთესად დაარღვევს მათ. მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ კავკასიას მუდამ ჟამს თავს დასტრიალებს შავი ყორანივით ეს დაუსრულებელი ინსინუაციები. ასი წელიწადია კავკასია რუსეთის სახელმწიფოს ფრთათა ქვეშ იმყოფება, იგი მოუწყობელია, მოკლებულია იმ მცირე სიკეთესაც კი, რომლებითაც რუსეთი სარგებლობს, მაგრამ გაუმაძღარი მადა მენშიკოვის ტიპის ნაციონალისტებისა მაინც დაუსრულებელ მსხვერპლს მოითხოვენ მისგან. კავკასია რეფორმებს ელის, ისეთს რეფორმებს, რომელნიც ამ მდიდარ კუთხეს ცოტაოდენ გასაქანს მაინც მისცემს და ეკონომიურ განვითარების გზაზე დააყენებს. ნაცვლად ამისა კი რუსეთიდან მხოლოდ წყევლა-კრულვას გვიგზავნიან და ისე აცნობენ კავკასიის მდგომარეობას, თითქოს იგი ახლად დასაპყრობი ქვეყანა იყოს. ერთად-ერთი აზრი იერიშებისა ის არის, რომ კვლავ შეაფერხონ რეფორმების განხორციელება კავკასიაში და კვლავ ძველებურ მდგომარეობაში ამყოფონ რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი კუთხე. არ ვიცით, ვისთვისაა საჭირო ასეთი „დაპყრობა“. თუ რუსეთს გულისხმობენ, ძალიან შემცდარნი არიან, რადგანაც მას არ დასჭირდება დაპყრობა იმისა, რაც დიდიხანია დაპყრობილია. თუ მენშიკოვისა და ტიმოშკინის ტიპის ნაციონა-

ლისტების ინტერესებზე ზრუნავენ, მაშინ იქნება, მართლაც, დასაპყრობი გაუხდეთ. მაგრამ ღმერთმაც იცის და ადამიანმაც, რომ რუსეთი სხვაა, ტიმოშკინი სხვაა—„შუა უზის დიდი ზღვარი", ტიმოშკინსა და მის მსგავს ნაციონალისტებს ელანდებათ ყველგან სეპარატიზმი და ისინი ურევენ ყველგან წყალს, რომ მერე ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ. თორემ სხვა ვის მოუვიდოდა თავში ისეთი სულელური აზრი, რომ დაშნაკცუტუნის პარტიას ორასი ათასი ჯარი და არტილერია ჰყავსო?

ასეთის ცნობებით ჰკვებავს „ნოვოე ვრემია" თავის მკითხველებს და დარწმუნებულია, რომ დიდს „პატრიოტულ" საქმეს აკეთებს. ფანტაზიის ავადმყოფობა შეუძლებელია ამაზე შორს წავიდეს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გაზეთი „რუსკოე სლოვო" დარწმუნებულია, რომ ახალის წლის დამდეგიდან რუსეთის შინაურ პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მოხდება.

მეტად სასურველი იქნებოდა, რომ რუსეთში ყოველივე მშვიდობიანად მიმდინარეობდეს: მაგრამ სწორედ რომ მიმდინარეობდეს და არა ერთს წერტილზე იყინებოდეს. უდიდესი და უკულტურესი რადიკალური რეფორმების განხორციელებაც კი შესაძლებელია მშვიდობიანად.

სწერს გაზეთი; იგი იგონებს ყირიმის ომს და ამბობს: ყირიმის ომის დაწყებამდის ყველა დარწმუნებული იყო, რომ რუსეთში სრული სიწყნარე და მშვიდობიანობა სუფევდა, მაგრამ გარეგან მშვიდობიანობის ქვეშ მიჩმალული აღმოჩნდა მთელი შინაური ცხოვრების უმაგალითო უწესრიგობა: გაზეთის აზრით, გავლენიანი პირები სულ სხაფრივ მსჯელობენ: ყირიმის ომამდის რუსეთის მცხოვრებლებს სალათის ძილით ეძინათ, ხოლო დღეს კი იგინი მოიქანცნენ მრავალი თავბრუ დამსხმელ რეფორმების ნდობით და მათთვის აუცილებლად საჭიროა დასვენებაო.

ამგვარად რუსეთს მომავალ წელსაც იძულებითი „დასვენება" მოელის, მაგრამ რუსეთს სრულიად არ ესაჭიროება ის მოსვენება, რომელსაც მოუმზადებენ. თუ რუსეთი მართლაც მოიქანცა არა რადიკალური რეფორმებით, არამედ იმ პოლიტიკით, რომელსაც განსვენებული პრემიერი ჩვენში აწარმოებდა და რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ჩვენი ქვეყნისათვის. იგი თვითონ არას აკეთებდა და მესანე სათათბიროც კი ისეთი შექმნა, რომელიც გამსჭვალულია საჭირო რეფორმების უყურადღებოდ დატოვებით. წარმოვიდგინოთ, რომ კოკოვცევის პოლიტიკა დამდეგ წელსაც სტოლიპინისაგან ნაანდერძევ გზით ივლის, მაგრამ არაფრის—კეთებაში სად არის მითითება თუ რა უნდა გაკეთდეს? სტოლიპინი მეორე სათათბიროში ფრიად საჭირო რეფორმების ფართო გეგმით გამოდიოდა, ხოლო აუგო რა ანდერძი მას, თვითონაც არქივს ჩააბარა ის რეფორმები, რომელნიც, მისივე აზრით, ფრიად საჭირონი იყვნენ ქვეყნის მშვიდობიან განვითარებისათვის.

გაზეთს მოჰყავს პ. ნ. დურნოვოს სიტყვები: „თუ თქვენ ეხლავე შეუდგებით ფართო რეფორმის განხორციელებას, თქვენ გაავივებთ მოუფიქრებელ და უაზრო მისწრაფებათა ჩაფერფლილ ცეცხლს"... კოკოვცევი, გაზეთის აზრით, დურნოვოს არ სწყალობს, მაგრამ თვითონაც არ არის რეფორმების მომხრე.

ვ. ნ. კოკოვცევი დღემდის ყველგან ამტკიცებდა ისეთი ზომების მიღების საჭიროებას, რომელნიც გარკვეულ მიზნების განხორციელებას ხელს შეუწყობდნენ. მაგრამ „კურსი", რომელიც თითქოს რაღაცის გაკეთებისაკენაა მიქცეული, ხოლო ნამდვილად კი არსებითად უმოქმედებაში იფლება, რაღაც უმიზნო ხეტიალს წარმოადგენს და ასეთი პოლიტიკის წარმოება მხოლოდ პლევეს შეეძლო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ზაქათალა-შემახა-ბალაჯარის რკინის გზა.** ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი მიმდინარე თვის შუა რიცხვებში პეტერბურგს მიემგზავრება, რათა გამოითხოვოს კონცესია ზაქათალა-შემახა-ბალაჯარის რკინის გზის გაყვანისა.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი ნ. პ. ქოქჩაევი,** რომელიც ავად არის, დიდის ხნით დასასვენებლად წასვლას აპირებს ტფილისიდან.

✦ **ტფ. ქალაქის მოურავს,** როგორც ვწერდით, მოკლე ხანში აირჩევენ. ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი კანდიდატია—ახლანდელი მოურავი ა. ი. ხატისოვი.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარს გამგეობას გუბერნატორმა ნება დართო გორის მაზრის სოფელ მეტეხში უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო გახსნას.

✦ 1911 წლის განმავლობაში ტფილისში **ცეცხლი** 227-ჯერ გაჩენილა. მომეტებულ ნაწილად (141 ჯერ) ცეცხლი გაჩენილა კვამლის სადენ მილების მოუწყობლობისა გამო.

✦ **ოფიც. ვახვახიშვილის მოსვენება.** დღეს ტფილისს მოასვენებენ სპარსეთში მოკლულ ოფიცრის ვახვახიშვილის გვამს. მოსვენებისას ტფილისის სადგურზე დილის 11 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. სააგენტოს სიტყვით, სპარსეთიდან იგი დიდის ამბით გამოუსტუმრებიათ. განსვენებულის გვამს თელავში წაასვენებენ და 5 იანვარს მიწას მიაბარებენ.

✦ **ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები** დანიშნულია 7 ამა იანვარს. თავისუფალი ვაკანსიები არის პირველსა და მეორე განყოფილებებში და პირველსა, მეორესა, მეოთხესა, მეხუთესა და მეექვსე გიმნაზიურ კლასებში.

✦ **ახალ წლის შეხვედრა ახალ კლუბში.** ამ კლუბის მამასახლისთა საბჭოს თაოსნობით ახალ წლის ღამეს საერთო ვახშამი გაიმართა. ვახშამს იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ქართულ თეატრის დარბაზში ტევა აღარ იყო. სრულს 12 საათზე ხალხი უკვე თავ-თავის ალაგას იჯდა. ამ დროს სცენის ფარდა აიხადა და თოფიც გავარდა. სცენაზე გამოჩნდა ახალი წელიწადი (1912) უმანკო ბავშვის სახით და ძველი (1911 წ.), რომელიც უბსკრულისაკენ მიდიოდა და თან ქირსა და ვაებას მიათრევდა. მუსიკამ მარში შეასრულა. ამის შემდეგ მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარემ თ-დმა ი. ზ. ანდრონიკაშვილმა ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო და დამსწრეთ ახალი წელიწადი მიულოცა. ფარდა დაეშვა. თამამად არჩეულ იქმნა თავ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც თავის მხრივ სამი თანაშემწე აირჩია: ვ. გუნია, გ. გვაზავა და გ. დიასამიძე. ყველამ შესაფერი სიტყვები წარმოსთქვა. ვახშმის დროს თამადის თხოვნით სცენაზე სხვა და სხვა პირისგან წარმოთქმული იქმნა ლექსები, სახუმარო სცენები და სხვა. იყო სიმღერა და ცეკვაცა. ვახშამი გათენებისას დასრულდა.

✦ **არქიმანდრიტი ანტონი,** რომელიც გორის ეპისკოპოსად დანიშნეს, გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ეპისკოპოსად აკურთხებენ.

✦ **განსვენებულ ი. პ. შადინოვის მიერ ნაანდერძევ** 5,000 მანეთის სარგებელი უკვე წარედგინა იაფფასიან და უფასო სადილების გამმართველს საზოგადოებას.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი ბ. ს. ვირსალაძისა: „Краткiй обзоръ Александропольскаго податного участка".

✦ **ქალაქის საბჭოს ხმოსანთა და მათ კანდიდატთა სია** გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა.

✦ **შობის ხე.** 31 დეკემბერს საარტისტო საზოგადოების შენობაში მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ შობის ხე გაუმართა ღარიბ ბავშვებს. საბავშვო დღესასწაულმა მხიარულად ჩაიარა.

✦ **ნ. გ. ღოღობერიძის დასაფლავება.** დღეს, 3 იანვარს, დიდუბის ეკლესიის ეზოში, მიწას მიაბარებენ ცნობილ ქველ-მოქმედისა და მოღვაწის ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის ცხედარს. წირვა, რომელიც დილის 10 საათზე დაიწყება, გადახდილ იქმნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** ვასილ კონსტანტინეს ძე სერიკოვმა მიხეილის ქუჩაზე ნიშადურის სპირტი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 1 იანვარს, საღამოს 10 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე ლავრენტი დიმიტრის ძე ქუთათელაძესა და შალვა-ბეკ ჯაყელს ჩხუბი მოუვიდათ თედორე დენისოვთანა და ტიმოთე ტატარინცევთანა. ყველანი მთვრალები იყვნენ. მეორეებმა პირველთ იარაღით სროლაც დაუწყეს. რაზედაც პირველებმა სროლითვე გასცეს პასუხი. დაიჭრნენ: შემთხვევით გამვლელი თავ. არჩილ პეტრეს ძე წულუკიძე და ქუთათელაძე. ჯაყელი და ტატარინცევი შეიპყრეს.

✦ ახალწელიწადმა ტფილისში უსისხლოდ ვერ ჩაიარა. ქალაქის სხვა და სხვა უბანში ბევრი ჩხუბი გაიმართა მთვრალ ხალხის შორის, რომელსაც იარაღით დაჭრაც მოჰყვა, სხვათა შორის, 1) იოსებ კოხტიევმა მსუბუქად დასჭრა მაგიდის დანით გალუსტ ტერ-არუთინოვი; 2) ალექსი ტოლოშვილმა დანით დასჭრა ალექსი კარომოვი და იოსებ პოლანაშვილი; 3) სოლომონ შარინაშვილმა სამზარეულო დანით ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა მუხამეჯან ლაშიევი; შარინაშვილი შეიპყრეს და 4) თედორე გრიგორენკომ და მისმა შვილმა სვიმონმა რამდენსამე ალაგას დასჭრეს ივანე ჩურიკოვი.

✦ 31 დეკემბერს ტფილისში 42 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ტფ. სამკურნალო საზოგადოების** საერთო კრება დღეს მოხდება, საღამოს 8 საათზე.

ქუთაისი.

✦ **წ. კ. საზ. ადგილობრივ განყოფილების** გამგეობამ უკანასკნელ კრებაზე სასურველად სცნო განყოფილების ბიბლიოთეკებისათვის საკუთარი შენობის აგება, რისთვისაც დაადგინა — ეთხოვოს შავიქვის მრეწველთა საბჭოს ინჟენერს, შეადგინოს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ორი ტიპის შენობისა, რომელიც დაჯდება არა უმეტეს 1500 მ.; სადაც სრულიად ვერ იკისრებს ბიბლიოთეკის გამგეობა შენობის აგებას, იქ წ. კ. საზ. განყოფილება ნახევარ ხარჯში შეუდგეს. თითოეულ ბიბლიოთეკისათვის დაიკვეთოს ერთი ყოველდღიური ქართ. გაზეთი, ერთი ყოველთვიური („განათლება") ერთიც საყმაწვილო ჟურნალი. გაეგზავნოს ყოველ ბიბლიოთეკას თითო თუმნის წიგნები. მიეცეს ბიბლიოთეკებს თითო თუმანი საწიგნე შკაფის შესაძენად. გამგეობამ მოისმინა აჭარა-წყლის სკოლის მასწავლებლის ბარათი და დაადგინა გაეგზავნოს სკოლას **„სახალხო გაზეთი"** **„განათლება"** **„კოლხიდა"**, ერთი თუმნის წიგნები და სხვა.

✦ ქალაქის **სახაკლაოს მოიჯარადრე** ნ. შავგულიძე სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ უკანასკნელმა მისცეს მას სამი წლის ვადით იჯარით ქალაქის სახაკლაო და სამიკროსკოპიო სადგური თხუთმეტ ათას მანეთად. ამასთან თხოულობს ჩამორეკილ საქონელზე ბაჟის იჯარას 1500 მანეთად, სულ 16500 მ. თანაც დასძენს, რომ ახლანდელი გადასახადი თითოეულ საკლავზე ძველი დარჩესო.

✦ **ყარამან დათეშიძის** მემკვიდრეების მამულში, რიონის პირას, ჩაუყრიათ გოდრები და ქვებით აუვსიათ. რიონის გაღმა პირას მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რომ ამას მიაქციოს ყურადღება, თორემ რიონი გადიდებისას ჩვენსკენ წამოვა და წაგვლეკავსო.

✦ ქალაქის გამგეობის სადგომში ტევა არ არის, იმდენი ხალხი იყრის თავს მომავალი წლის **სავაჭრო მოწმობის** ასაღებად.

✦ ქუთაისის კათოლიკეთა **სამრევლო სკოლის გამგეობა** მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს 28 დეკემბერს გამართულ „შობის ხის" მოწყობაში.

ბათომი.

✦ ბათომის პოლიცმეისტერმა შუამდგომლობა აღძრა ბ. სამხედრო გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ **ბათუმის პოლიცია** ნაგანის სისტემების რევოლვერებით შეიარაღონ, რადგანაც ეხლანდელი რევოლვერები უვარგისიაო. ამის შესახებ ბ. გუბერნატორმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას, რათა შეძენილ იქნას ზემოხსენებული სისტემის რევოლვერები.

✦ გაზეთ „კოლხიდის" **რედაქტორი** ა. ჰუმბაძე ციხიდან განთავისუფლეს. რედაქციამ გადაიხადა 500 მანეთი ჯარიმა.

✦ როგორც იუწყებიან, ამ ჟამად **მუხის ხე-ტყეს** საზღვარ-გარედ დიდი გასავალი ჰქონია.

✦ ეს ერთი თვეა, რაც ბათომში დიდი ძალი **კაკლის ხეები** შემოაქვთ საზღვარ-გარედ გასაგზავნად.

✦ სასაფლაოსაკენ მიმავალი გზა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ამ გზას წინად ქალაქის თვითმართველობა აკეთებდა, მაგრამ ეს რამოდენიმე ხანია ქალაქის გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა ამ გზას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს [illegible] და რაც შეიძლება ჩქარა შეკეთებული იქნას.

ქ. ოზურგეთი.

✦ შაბათს, 22 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, **ბაზარში,** ვიღაც უცნობმა ჯოხი დაარტყა თავში სამოქალაქო დარაჯს, გამოჰგლიჯა ხელიდან თოფი „ბერდანკა" და უგზო უკვლოთ მიიმალა.

✦ როგორც გავიგეთ აქ აპირებენ 3 იანვარს **შობის-ხის** გამართვას. შემოსავალი ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გადაიდება. (ბ. გ.)

ნიკ. ბეს. ღოღობერიძის გარდაცვალების გამო

დეპეშები.

ქუთაისი. წ.-კ. გამ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილება უერთდება ქართვე საზოგადოების საერთო მწუხარებას ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძის გარდაცვალების გამო. განსვენებულმა თავის უდიდესი სიყვარული მამულისადმი დაამტკიც არა მარტო ხანგრძლივ და მრავალ-ფეროვან მოღვაწეობით, არამედ თვით თავის უკანასკნელ სურვილისა და ანდერძის უმაღლე ღირსებითაც, რითაც თავის თანამემამულე წასაბაძი მაგალითი მისცა.

საზოგადოების თავმჯდომარე
გ. ზდანოვიჩი.

ქუთაისი. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძის გარდაცვალებამ შავის-ქვის მრეწველთა შორის გულწრფელი სინანული დ მწუხარება გამოიწვია. განსვენებული იყ შავი-ქვის მრეწველობის საქმის ერთ პირთაგანი, რომელმაც თავის ცოდნის მეოხებით დ ხასიათის სიმტკიცით შესძლო მრეწველობის საქმე ევროპიულად დაეყენებინა. ამი გამო განსვენებული ერთი გავლენიანი და წარჩინებულ წარმომადგენელთაგანი იყო შავი-ქვის მრეწველობის საქმეში. განსვენებულის ცოდნა-გამოცდილებითა და რჩევით ხშირად უსარგებლია შავი-ქვის მრეწველთა კრებას და პირველ ხანებში მუდამ გულდასმით ისმენდა განსვენებულის მიერ გამოთქმულ კეთილ რჩევა-დარიგებას.

მშვიდად განისვენოს ამ უანგარო ოღვაწის სულმან, რომელმაც ხანგრძლივი სიცოცხლე თანამოძმეთა კეთილ-დღეობას შალია.

შავი-ქვის მრეწველთა კრების თავჯდომარე **ზდანოვიჩი.**

განსვენებულ **ნ. ბ. ღოღობერიძის დასაფლავებაზე** ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭოს **წარმომადგენელად** იქნება **კიტა აბაშიძე.** მას დავალებული აქვს, გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო.

წ.-კ. საზ. ქუთაისის განყოფილებასაც კიტა აბაშიძისათვის მიუნდია განსვენებულის დასაფლავებაზე საზოგადოების წარმომადგენლად დასწრება.

გორი. ღრმად დაგვამწუხრა სამშობლო ქვეყნის გულმოდგინე და გულწრფელ მოღვაწე—ქველ-მოქმედ ნ. ბ. ღოღობერიძის მოულოდნელმა დაკარგვამ.

ანასტასია ხოშტარიასი და **დუუ მეგრელი.**

ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან

5.

დუალიზმის წარმოშობა.

მსოფლიო ამოცანაში ორი ძირითადი პრობლემაა დამალული. რა არის მაკროკოსმოსი ანუ სამყარო და რა არის მიკროკოსმოსი ანუ კაცობრიობა—აი ის ორი დიდი საკითხი, რომელ ახსნას იმთავითვე სცდილობს ფილოსოფიური აზროვნება.

წმინდა ობიექტიური თვალსაზრისი სამყაროსკენ არის მიპყრობილი; ის უწინარეს ყოვლისა მის განსჭვრეტას ლამობს. ის გვარწმუნებს, რომ თვით ადამიანობის გაგება მხოლოდ გარეშე ქვეყნის ანალოგიით შეიძლება და ამიტომ ფილოსოფიურმა მკვლევარმა კოსმიურ მოვლენათა და ძალთა შესწავლით უნდა დაიწყოს თავისი მსვლელობა. ამ შესწავლის დროს ის უნდა განთავისუფლდეს ყოველი სუბიექტიური, ყოველი ვიწრო ადამიანური საზღვრებიდან და აბსოლუტურ არსებობის სიღრმეში ჩაეშოს. რას აღმოაჩენს ის ამ სიღრმეში, რას აღიარებს ის ყოველ მოვლენათა „ძირითად არსად", „მატარებლად", ან „საფუძვლად" დედა-ნივთს (იონიელი კოსმოლოგები) თუ ატომებს და მათ მოძრაობას (მატერიალისტები), ენერგიას (ოსტვალდი) თუ მსოფლიო ეთერს (ჰ. ერცი)—სულ ერთია. ყოველ შემთხვევაში ობიექტიური და ნატურფილოსოფიური თვალსაზრისი ბოლომდე დაცულ უნდა იქმნას მეცნიერულ ჭეშმარიტების სახელით.

მაგრამ რა რიგ სამართლიანი და ნაყოფიერიც არ უნდა იყოს თავის თავად ეს თვალსაზრისი, ის მაინც არ აკმაყოფილებს გამრავლებულ და გაღრმავებულს აზროვნებას. კაცობრიობას სამყაროში განსხვავებული, შეუდარებელი ადგილი უჭირავს და ფილოსოფიური მსოფლიო მხედველობა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას. არავითარ ნატურფილოსოფიას არ ძალუძს ადამიანობა უფლებრივ ატომების კომბინაციებისა, ეთერის მოძრაობისა ან ენერგიის ფორმებისგან გამოიყვანოს. არავითარს ბუნების მეტყველებას არ ძალუძს სულიერი შინაგნობა სავსებით გარეშე ძალთა ურთიერთობით ახსნას. ადამიანობის სიღრმეში ყოველთვის აღმოჩნდება ისეთი რამე, რაც ერთი მხრით უფრო რთულია, ხოლო მეორე მხრივ უფრო ელემენტარული, ვიდრე უძლიერესი ზნეობრივი ელემენტი.

მეცნიერულს შუქს მოკლებული ბუნება ხშირად საშიში და თავზარდამცემია პირველყოფილ ადამიანისთვის, მაგრამ თვით ის ჰარმონიული კოსმოსიც კი, რომელიც მექანიკურად ან დინამიურად, კაუზალურად (ე. ი. მიზეზობრივობის მიხედვით) და ტელეოლოგიურად (ე. ი. მიზანშეწონილობის მიხედვით) არის ახსნილი და განმარტებული არსებითად უცხო და გაუგებარი რჩება ადამიანისთვის. ის ძალნი და მოვლენანი, ელექტრონის, მაგნეტიზმის, სინათლის, სითბოს და სხვათა სახელს რომ ატარებენ, შეიძლება მართლაც ძლიერ მახლობელი ნათესავები და ნაცნობები იყვნენ ურთიერთს შორის, მგრძნობიარე და მოაზროვნე ადამიანი კი ყოველს შემთხვევაში ხშირად დიდს მარტოობას და ობლობას განიცდის მათ წრეში. ეს განცდა არტურ შოპენჰაუერმა გონება მახვილად იმ ადამიანის მდგომარეობას შეადარა, რომელმაც თვით არ იცის როგორ სრულიად უცნობს საზოგადოებაში მოხვდა. თვითეული წევრი ამ საზოგადოებისა დანარჩენთ მას თავის ბიძაშვილად ან მახლობელს მეგობრად აცნობს; ის თავის მხრით სცდილობს თვითეულის გაცნობას თავაზიანის ღიმილით შეჰხვდეს, მაგრამ თან თავისთვის ჰფიქრობს: „ვინ არის ეს ხალხი და რა ეშმაკეულად მოვხვდი მათ წრეში?" (ა. შოპენჰაუერი, მსოფლიო როგორც ნებისყოფა და წარმოდგენა. ტ. 1, წიგ. 2, § 17).

როგორ უნდა ჩაიშალოს ის კედელი ადამიანსა და ბუნების შორის, რომელიც ცალმხრივი ნატურფილოსოფიისთვის მუდმივ გარდაუვალია, ჰკითხულობს მომწიფებული აზროვნება. ამ საკითხზე არსებითად ერთად ერთი პასუხია შესაძლებელი. თუ გარეგნული და შორეული ვერასოდეს აგიხსნის იმას, რაც შინაგანი და მახლობელია ადამიანისთვის, შეიძლება პირიქით სწორედ ეს უკანასკნელი მოგვცემს გასაღებს ბუნების ცხრაკლიტურის გასაღებად. შეიძლება სწორედ ადამიანის სულიერს შინაგნობაში იმალება ის ძალა, რომლის ანალოგიით უნდა შევიგნოთ მთელი სამყარო და ხელახლა დავუნათესავდეთ იმას, რაც ერთის შეხედვით ასე გულგრილი და უგრძნობელია. შეიძლება ბუნების წიაღშიც სწორედ იგივე ძალა სთვლემს, რომელსაც ადამიანი ატარებს თავის მკერდს ქვეშ.

და მართლაც ეს პასუხი სხვა და სხვა სახით არა ერთხელ გვხვდება ფილოსოფიის ისტორიაში. გრძნობა (ემპედოკლესი), გონება (ანაქსაგორასი), ნებისყოფა (შოპენჰაუერი), სულიერი განცდის მთლიანობა (ჰანფსიხიზმი, ერთი მეორეს მიყოლებით ჰკისრულობს კოსმოსის გასაღების როლს.

ემპედოკლესი პირველი ბერძენი ფილოსოფოსია, რომელიც კოსმიურ მოვლენათა ახსნაში აშკარად ფსიხიურ ცხოვრების ელემენტებით სარგებლობს. ის სიცილიის კუნძულზე დაიბადა, ქალაქ გირგენტში დაახლოვებით 490—480 წ. ის არ ეკუთვნის იმ პიროვნებათა ჯგუფს, რომელნიც თითქოს ბრინჯაოსაგან არიან ჩამოყალიბებულნი და ცხოვრების ცვალებადობაში ხასიათის დიადს ერთ ფეროვნებას ინარჩუნებენ. წარმოშობით არისტოკრატი, ხოლო რწმენით დემოკრატი, ბუნებით მგოსანი, ხოლო განათლებით ფილოსოფოსი, მჭერმეტყველი, მქადაგებელი, წინასწარმეტყველი, სასწაულმომქმედი და ფხიზელი მოაზროვნე ერისა და იმავე დროს გამსჭვალული ერთის მხრით სატანისებური თავმოყვარეობით, ხოლო მეორე მხრით მეცნიერის თავმდაბლობით, ის მრავალფერადათ ჰკრთის როგორც გამჭირვალე ბროლი მზის სხივებში გარკვეული.

გაღმერთება სიკვდილის შემდეგ ხვედრია ზოგიერთ დიდბუნებოვან ადამიანისა, ემპედოკლესს კი ეს ხვედრი სიცოცხლეშივე ჰხვდა წილად. შეიძლება, სხვათა შორის, ამითაც აიხსნას ის გარემოება, რომ მან უარჰყო სამეფო ტახტი, რომელიც მას გადმოცემის მიხედვით სამშობლო ქალაქმა შესთავაზა და, მართლაც, რას ნიშნავს პოლიტიკური ბატონობა რამდენიმე ასი ათასს თანამედროვეზე იმისთვის, ვინც მათს გრძნობას და აზროვნებას ისედაც შეურყევლად ჰფლობს, რას ნიშნავს ოქროს გვირგვინი იმისთვის, ვისაც უკვდავება შარავანდედით ამკობს. არაჩვეულებრივი სიამაყით და გულზვიადობითაა გამსჭვალული ფილოსოფოსის მისალმება თავის თანამემამულებისადმი: „სალამი თქვენ მეგობარნო, მცხოვრებნო დიდი ქალაქისა, მოყვითალო აკრაგასის ნაპირებზე რომ სძევს, არა როგორც მომაკვდავი, არამედ როგორც უკვდავი ღვთაება დავდივარ ეხლა თქვენს შორის. ყოველგან პატივს მცემენ, ყოველგან თავს დაფნით და ყვავილების გვირგვინით მიმკობენ, როგორც ეს შემშვენის. როცა მიმდევართა ჯგუფით გარსშემორტყმული რომელიმე ქალაქში შევდივარ ქალნი და კაცნი თაყვანს მცემენ და ათასობით უკან მედევნებიან იმის გასაგებად, თუ რომელს გზას მიჰყავს, ხსნისაკენ. ერთი მთხოვენ მისნობას, მეორენი რჩევას სხვა და სხვა ავადმყოფობის გამო, მესამენი გამკურნებელს სიტყვას, მიტომ რომ უკვე დიდი ხანი იტანჯებიან ადამიანები საშინელ ტკივილებით". (ემპედოკლესი, სინანულის საგალობელი")... „მაგრამ რას ვმეტყველობ ყველა ამის შესახებ ასე ვრცლად, თითქო დიდს რამეს ვაკეთებდე? განა მე მეტი ვარ ვიდრე თქვენ, უბრალო მომაკვდავნი, გასანადგურებლად განწირულნი?" (იქვე).

თუმცა ემპედოკლესი ქურუმის ძვირფას ძოწეულშია გახვეული, თუმცა ის ოქროს სარტყელს ატარებს და დაფნის გვირგვინს, აზროვნების სიფხიზლე მას მაინც არ ღალატობს თვით უძლიერეს პოეტურ აღფრთოვანების დროსაც კი. ეს რომ ესე არ ყოფილიყო ჩვენთვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა ის გარემოება, რომ ამ ადამიანმა წინად იგრძნო რამოდენიმე ძირითადი ჭეშმარიტება თანამედროვე ქიმიისა. ეს უკანასკნელ დღეს გვასწავლის რომ მატერიალური ქვეყანა **რამოდენიმე** ძირითადი ნივთისა ანუ ელემენტისგან შესდგება, რომ ამ ელემენტთა რიცხვი **განსაზღვრულია,** რომ ისინი ურთი-ერთს შორის **კავშირში** შედიან და ბოლოს რომ შეკავშირებათა რაოდენობითი განსხვავება და პროპორცია უძევს საძირკველად. უმთავრესი განსხვავება ემპედოკლესის მოძღვრებასა და ახალი ქიმიის შეხედულების შორის კი ის არის, რომ ბერძენთა ფილოსოფოსი მხოლოდ ოთხს ნივთს აღიარებს ძირითად ელემენტად, სახელდობრ მიწას, წყალს, ჰაერს და ცეცხლს, მეცნიერულ ქიმიას კი ამ ელემენტთა რიცხვი სამოცდაათამდე აჰყავს. ამასგარდა ეს უკანასკნელი სრულიად უარჰყოფს ემპედოკლესის დედანივთების ელემენტობას: წყალი მარტ ვი შეერთებაა ორი ელემენტისა (მჟავბადისა და წყალბადისა), მიწა ძლიერ რთული აგრეგატი, ჰაერი სხვა და სხვა ელემენტთა შეზავებაა, რომელშიაც აზოტი და მჟავბადი სჭარბობს, ხოლო ცეცხლი პროცესია და არა უცვლელი ნივთიერება. მაგრამ ამ ძლიერ მნიშვნელოვანი შესწორების მიუხედავად უნდა ვაღიაროთ, რომ ემპედოკლესის მოძღვრება მაინც ძლიერ დიდი ნაბიჯია წინ ძველ იონიელთა კოსმოლოგიასთან შედარებით. ამ უკანასკნელს მთელი სამყარო ანალიტიურად ერთი დედანივთისაგან გამოჰყავდა (წყლისა, ჰაერისა და სხ.), ემპედოკლესი და მისი თანამედროვე ანაქსაგორასი კი კოსმოსს სინტეტიურად აშენებენ რამოდენიმე ელემენტის საშუალებით, როგორც ხუროთ მოძღვარი აგურების შეწყობით არქიტექტორულს შენობას აგებს.

გირგენტელი ბრძენი დიდი მგოსანი და ხელოვანი იყო, ხელოვანს კი უწინარეს ყოვლისა ინდივიდუალური ფერადები აინტერესებს, ნაცრის ფერი ერთგვარობა მისთვის აუტანელია, მისი მხედველობა დეტალების შესათვისებლად არის გამართლებული, ემპედოკლესიც ჰხედავდა, რომ კოსმიური შენობა ერთად-ერთი მასალით აგებული ისევე უსრულო იქმნება, როგორც სურათი ერთად ერთის ფერით დახატული. პალიტრაზე ყოველთვის ოთხ-ხუთი ფერადი მაინც არის, ეს ოთხი-ხუთი ფერადი კი სრულიად საკმაოა, რომ მხატვარმა მათი შეწყობით ცხოვრების განსაცვიფრებელს სიმდიდრეს და მრავალ მხრივობას მიაღწიოს. მათი ურთიერთ შეზავებისა და შეხამების წყალობით შეიძლება უნაზესი ნაკვთების გადმოცემა.

ბუნება დიდი ხელოვანია. მართალია, მას არ ძალუძს შემოქმედება არარაობისგან ან სრული განადგურება არსებულისა. შეუძლებელია წარმოშობა ან განადგურება ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნელობით. ყოველი არსებული არსებობს დასაბამიდან და იარსებებს დაუსრულებლივ. შესაძლებელია მხოლოდ

მცირე შენიშვნა.

ერთ საკითხის გამო.*)

დაუსრულებელმა კამათმა ქართულის საგრამატიკო ფორმების შესახებ სამართლიანად გამოიწვია ქართულის მცოდნეთა კრების გამართვის სურვილი.

მაგრამ თვით კრების მოწყობის შესახებ მოთავსებულს საგაზეთო წერილებში აშკარად სჩანს, რომ კრებაში დაინტერესებულთ არ ესმით, თუ ვინ და რა უნდა მოაწყოს: მაგ. ზოგს, როგორც ბ. ი. გოგებაშვილს, თვისი პირადის გულში ამოჭრილი სურვილის დასაკმაყოფილებლად მიაჩნია ამგვარის კრების დანიშვნა, და აკი ისიც ისწრაფის საჩქაროდ დაასახელოს ისეთი თავისი მეგობრები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში ამ საკითხის საზღვრებში კომპეტენტურ პირებად არ შეიძლება მიღებულ იქმნან, ზოგი, როგორც მაგ., „სახალხო გაზეთის“ მეთაურის ავტორი, იხ. № 489, პირ-იქით მოითხოვს ლინგვისტთა კრებას და, მაშასადამე, ამ უკანასკნელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გვავალებს ახლავე თადარიგს შევუდგეთ და მოვაწყოთ ისეთი კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მთელის რუსეთისა და ევროპის ცნობილი ლინგვისტები. სწორედ ასე გვაფიქრებინებს „სახალხო გაზეთ“-ის ნახმარი ტერმინი „ლინგვისტთა“ კრება. დასტურ გასაოცარია: ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ დღეს ხმარებული ქართულის საგრამატიკო ფორმების ავკარგიანობის საკითხი და ამისათვის კი საჭიროდ ვთვლით ლინგვისტების კრების მოწვევას!!. ცხადია, ეს გაუგებრობის ნაყოფია ისე, როგორც მეორე უკიდურესობა: ბ. ი. გოგებაშვილის კომისია და მისი შედგენილობა. ქართველი საზოგადოება უძლურია ლინგვისტთა კრების მოწვევის საქმეში, რადგან მას ლინგვისტები არა ჰყავს; მას ბლომად ჰყავს მხოლოდ ცრუ—ფილოლოგიურის მიმართულების მიმდევარი, რომელნიც შეპყრობილი არიან გრამატიკული ფსიხოზით და ყოველთვის მზად არიან წარა-მარა იხმარონ მათი დამოუკიდებელის აზროვნების ნასიბრძნი, საკუთარის თავიდან გამონაჩეკი. უბედურება ის არის რომ ამ ნიადაგზე ვრცელდება ნამდვილი უვიცობა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც ამ შემთხვევაში ყოველგვარ სკოლას, არა თუ ახალს, ძველსაც, დაშორებულია, კარგ ფასში სადდება. ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ სამწუხაროდ, ჩვენ იმდენად დავკნინდით და ჩამოვრჩით ანტონ კათოლიკოზსაც კი, რომ ამას წინად ერთმა ჩვენმა ცნობილმა მოღვაწემ, რომელსაც ჩვენის ერის საუკეთესო დარაჯად სცნობს საზოგადოება, გულის დასაჯერებელს საკამათო წერილში ზმნის კანკლედობაც კი ალიარა!!. სამწუხაროდ უნდა ალვნიშნოთ, რომ იმერელის აზრი, რომ ჩვენ დავკნინდით, რადგან მოვსწყდით ძველს კულტურულ ძალებს, რომლებიც ასულდგმულებდენ ჩვენს საუკუნოებით შექმნილს მწერლობას, რომ ჩვენ არა გვყავს საჭირო ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ენის შემუშავება, სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ აქედან ენის შესწორების მიზნით კონფერენციის მოწვევის სრული უარყოფა როდი გამომდინარეობს.

პირიქით, ჩვენ გვმართებს მეტი სურვილი და ენერგია გამოვიჩინოთ ამ საკითხის გამოსარკვევად საჭირო ძალთა მოწვევაში. საჭიროა მივეშველოთ ჩვენს ენას, სანამ იგი სრულიად არ დაჰკარგავს თავის ნამდვილ ქართულ სახეს, სანამ იგი არ დაკნინდება.

მართალია სპეციალისტი ბევრი არა გვყავს, მაგრამ თითო-ოროლა ამ საგნის მოყვარული პიროვნება, ავია თუ კარგი (ეს კრებაზეც გამოჩნდე ბა) მაინც მოგვეძებნება. ავიღოთ, მაგ. პატივცემული სილ. ხუნდაძე, რომელსაც ამ საქმის დიდი სიყვარული და გამო ცდილებაცა აქვს. აი სწორედ ამგვარ პირთა მოვალეობაა მიეშველონ ამ საქმეს და დაამზადონ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებები ამ ენისათვის საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ და მოხსენების კონსპექტი დაშინაარსი წარუდგინონ საქართველოს საისტორიოდა საეთნოგრაფიო საზოგადოებას, რომელიც თავისი მხრით ითავებს კარგ „მექართულეთა“ კონგრესის გამართვის საქმეში. კონგრესის მთავარი მიზანი, რასაკვირველია, რეფერატების განხილვა და მათი შესახები რეზოლიუციების გამოტანა იქნება.

სხვა იმერელი.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ბ-ნი სხვა იმერელი ტყუილად გვედავება, თითქოს სრულიად რუსეთისა და ევროპის ლინგვისტთა კრების მოწვევას ვთხოულობდეთ. ძალიან ნათლად არის გამოთქმული ჩვენს წერილში, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ქართულ ენის მცოდნე პირთა კონგრესი, თუ კრება,—ეს სულ ერთია. თუ ,,ლინგვისტთა კრება'' ვიხმარეთ მეთაურს წერილში, არც ეს შეიძლება დიდს დანაშაულობად ჩაითვალოს. შეიძლება სახელ-განთქმული ლინგვისტები არა გვყანდეს, მაგრამ ის, ვინც ენითა ფორმებს იკვლევს, მაინც ლინგვისტია, და სწორედ ვერ გაგვიგია რას გვედავება ბ-ნი სხვა იმერელი?

წერილი როსტოვიდან.

როგორც მკითხველსაც ეცოდინება, უმაღლესად გარდაწყვეტილია გაიხსნას დონის ოლქში სამედიცინო ფაკულტეტი. კითხვა ისაა, სად გაიხსნას უნივერსიტეტი-როსტოვში თუ ნოვოჩერკასკში. ორივე ქალაქს საკმაო თანხა აქვს შეგროვილი. ერთი მეორეს ექიშპება, არ უთმობს. თვით უმაღლეს წრეებშიც საბოლოვოდ ვერ გადაუწყვეტიათ, რომელს მისცენ უპირატესობა. ამ ჟამად პეტერბურგში დეპუტაციაა ნოვოჩერკასკიდან გაგზავნილი. დეპუტაციამ სათითაოდ ინახულა სათათბიროს წევრები, განათლების მინისტრი კასო, სამხედრო-სუხომლინოვი და სხვ. სხვათა შორის მთავარ შტაბის უფროსს გენერალ მიხნევიჩს უთქვამს დეპუტატებისთვის: საკულტურო მიზნისათვის ნოვოჩერკასკში საჭიროა უნივერსიტეტი, მაგრამ ვშიშობ-უნივერსიტეტი კავკასიელებით გაივსება და ისინი კი ყაზახის ახალგაზრდობაზე ცუდს გავლენას იქონიებენო. დეპუტატებმა მიხნევიჩს უპასუხეს: მაგ მხრივ ჩვენს ახალგაზრდობას საფრთხე არ მოელისო. ამ ჟამად პოლიტეხნიკუმიც გვაქვს ნოვოჩერკასკში და კავკასიელები ნაკლებად მოდიან. ვინც მოდის, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტეხნიკუმში მიღება კენჭით სწარმოებს და არა საკონკურსო გამოცდით, რაიცა მათთვის დიდი დაბრკოლებაა, არც უნივერსიტეტი მიიზიდავს ბევრს. უნივერსიტეტში შესასვლელი პირობები ყველგან ერთნაირი იქმნებოდა. კავკასიელებიც უფრო ისეთ ქალაქებს მიეტანებიან, სადაც ცხოვრება მრავალფეროვანია. ვინ შეჰყოფს ცხვირს ჩვენს მიგდებულ მოსაწყენ ნოვოჩერკასკშიო.

კასოც მომხრეა, რომ უნივერსიტეტი ნოვოჩერკასკში გაიხსნას 1812 წელს ფრანგებთან ომის დროს, დონის ყაზახობამ გაისახელა და ამ წლის აღსანიშნავად ნოვოჩერკასკის უნივერსიტეტი მისთვის ჯილდო იქმნება. ამას გარდა პირველ ხანებში მასწავლებლებიც არ დაგვჭირდება, რადგან პოლიტეხნიკუმის პროფესორები დაიჭერენ მათს ადგილსაო. როსტოვში უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგნი არიან სხვათა შორის ჭეშმარიტი რუსები იმ მოსაზრებით, რომ ,,კრამოლის'' ბუდედ გადაიქცევა იგიო.

რომელს დარჩება გამარჯვება, ახლო მომავალი დაგვანახვებს.

—

მოსკოვის სამხატვრო თეატრში მეოთხე წელიწადია რაც იმყოფება ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე ა. კოლხიდელი და სწავლობს სასცენო ხელოვნებას. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ამ ჟამად ბ. კოლხიდელი შესდგომია საგანგებოდ რეჟისურის შესწავლას. სამხატვრო თეატრის დირექციას იგი სარეჟისორო კლასებში გადაუყვანია. მასვე აქვს თურმე ეხლა მინდობილი დასადგმელად ტურგენევის პიესა ,,თვე სოფლად'', როგორც რეჟისორის თანაშემწეს

მდგომარე სეზონში მოსკოვის სამხატვრო თეატრი სდგამს გ. დ'ანუნციოს პიესას ,,მკვდარი ქალაქი''. პიესა დაიდგმება ,,ჰამლეტის'' შემდეგ. რეჟისორად ამ პიესისა გ. მარჯანიშვილია, თანაშემწედ ა. კოლხიდელი.

—

როგორც ვიცით გორის მაზრამ ამ ბოლო წლებში მეხილეობის მხრივ თვალსაჩინოდ წაიწია წინა და შემდეგშიაც ეს დარგი მეურნეობისა მას ბრწყინვალე მომავალს უქადის. კარგს საქმეს მუდამ კარგი შედეგი მოსდევს. ჩვენს ხილს ბაზარიც თანდათან უფართოვდება. წინად აქ ძნელად წააწყდებოდით ჩვენებურს ვაშლს. მსხალს. თუ იყო სადმე, იმასაც ყირიმისად ნათლავდნენ. აგერ 25 წელიწადია თურმე აქ ერთი ახალციხელი ქართველი ვაჭრობს ხილით. წინად მას ხილი მოჰქონდა ყირიმიდან და ქართლიდან, წელს კი მის სარდაფში მოსჩანს განსაკუთრებით სოფ. ნიქოზის, ცხინვალის, ერგნეთის, ტყვიავის ხილი (ხეთაგურის, მაჩაბლის, ფავლენიშვილის და სხვა ბაღებიდან). ვაშლი თითქმის ყველა ჯიშისაა, მსხალიდან კი მხოლოდ ,,შავი მსხალია''. სიმსხოთი, გემოთი და სილამაზით მეტადრე ვაშლი ყურადღებას იქცევს. ერთი დამახასიათებელი თვისება ჩვენი ხილისა კიდევ ის არის, რომ სურნელოვანია. ხილის სარდაფები აქ ბლომად არის, მაგრამ არც ერთის ახლო ისეთი სურნელება არა ტრიალებს, როგორც ზემოხსენებულ სარდაფის მახლობლად. რამდენიმე საჟენის სიშორეზე გეცემათ ცხვირში ხილის საუცხოვო სუნი და კიდეც რომ არ იცოდეთ სარდაფი, მაინც სუნზე მიაგნებთ. ამავე სარდაფს შარშან, როცა მეტი წილი ყირიმის ხილი იყო, ეს სუნი არ ემჩნეოდა. ხილი ბლომად არის ჩამოტანილი, სარდაფი საუკეთესო ქუჩაზეა და ხალხიც ბლომად ეტანება. სამწუხაროდ, სარდაფს სახელად ,,ყირიმი'' აწერია და უეჭველია, პატრონიც იძულებული ხდება ,,ტრადიციის ერთგულ'' მოვაჭრესთან ჩვენი ხილი ყირიმისად გაასაღოს. ამის მოწმე შარშან ჩვენც ვიყავით. ჩავედით ამავე სარდაფში, გვინდოდა ხილის მაზანდა გაგვეგო. ავიღეთ ერთი ვაშლი, მეორე, მესამე, ყირიმისააო გვითხრეს. მაგრამ შინაურულად გამოკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მეტი წილი გორის მაზრიდან იყო ჩამოტანილი. პატარა ნოქარმა, რუსმა, ქართლელი გლეხების სახელებიც კი ჩამოგვითვალა — ექსო, გიგო, ვანო და სხვა, ვის განაც ეყიდნათ ხილი. ურიგო არ იქნებოდა გორის მეხილეთა ამხანაგობა თუ ეხლა არა, მომავალში მაინც მოიფიქრებდეს აქ ხილის სარდაფის გახსნას, მით უმეტეს, რომ ხილის დიდი მოთხოვნილებაა. კარგი ბაზარი ექმნება ჩირსაც. რიგიანად დაყენებულს საქმეს შედეგიც კარგი ექმნებოდა.

სან-განიძე.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თავრიზი. ბაზარში დიდძალი ხალხი ვაჭრობს. დუქნები პარასკევობითაც კი ღიაა. რუსის ჯარი კერძო სადგომებს ასუფთავებს და საბინადროდ აწყობს. ვაჭრებს ამბავი მოუვიდათ, შუსტერმა ხაზინა ცარიელი გაუშვა და შაჰინშაჰის ბანკის ვალი 90 ათას მანეთამდე დასტოვაო. შუსტერს ძალიან ემდურიან.

ქოი. ტყუილია, ვითომც აქ თავრიზიდან გამოქცეული ფიდაები მოსულიყვნენ. თავრიზის სისხლის ღვრის მონაწილე მაჰმადიანნი და სომეხნი ზოგი დილმანს გაიქცა, ზოგი—გიარიკსა და ზოგნიც ქოჭანაშარს გაიქცნენ, იქიდან ოსმალეთში გადასვლას სცდილობენ. მათ შესაპყრობად ზომები მიიღეს. ქოიურმიის საქარავნო გზის დასაცავად რუსის ჯარის რაზმები გაიგზავნა. რაზმები დაბანაკდნენ დილმანს, იაშანლუს, ქანტახტას, კუშჩსა და ურმიას.

თავრიზი. სპარსელთა მიერ მოკლული ორი გრენადერი და მსროლელთა პოლკის ჯარისკაცი დიდის ამბით დაასაფლავეს.

გაზეთებიდან.

დეპუტატთა არჩევნები.

„რეიტერის სააგენტოს“ თეირანიდან ატყობინებენ: მთავრობა, მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ აწერს მეჯლისის დეპუტატთა ახლად არჩევნებს. ამბობენ, ახალი მეჯლისი უფრო რადიკალური იქნება, ვიდრე ძველი და რუსეთის მოწინააღმდეგეთაც უფრო მეტს აირჩევენო.

ინგლისის პრესა.

ლონდონში მყოფ სპარსელთა კომიტეტის წევრებს სპარსეთის უმწეო მდგომარეობამ საგონებელში ჩააგდო.

სპარსეთის საქმეების მცოდნე გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: სამხრეთ სპარსეთში აჯანყებაა მოსალოდნელი. 15 ათასი გააფთრებული ფანატიკოსნი, რომელნიც სასულიერო პირთა დასჯამ უფრო გააბრაზა, ძალიან საშიშნი არიან და ინგლისს ჰმართებს ჯარის გაძლიერებაო.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

ხანკოუ. ხანკოუდან ათის ვერსის მანძილზე რევოლუციონერებმა ორი სარკინიგზო სადგური აიღეს.

ჩიფუ. იაპონელთა კრეისერი „ივატე“ მოვიდა. 3 იანვარს შანჰაიდან რევოლუციონერთა ჯარს, კრეისერებსა და ნაღმოსნებს ელიან. აქაურ ჯარიდან ბევრი ჯარისკაცი გარბის.

ტოკიო. გაზეთებს სჯა-ბაასი აქვთ რუსეთ-მონღოლეთის ურთიერთობის გამო. გაზეთები სწერენ, რუსეთზე დიდი გავლენა აქვს ნაციონალისტურ პარტიას და იგი კი იაპონიასა და ინგლისის ანგარიშს არ უწევსო. „ასახი“ ამბობს, რუსეთი იძულებულ ჰყოფს ინგლისს ტიბეტი აიღოსო. საერთოდ გაზეთები მშვიდად და თავდაჭერილად მსჯელობენ.

კულჯა. ახალმა მთავრობამ მანჯურთა და ყირგიზთა მამასახლისებს გამოუცხადა, მოდით და ახალი ბეჭდები მიიღეთო.

გაზეთებიდან.

გენერლის ურჩობა.

გენერალი ჩჟანი, რომელსაც ჩინეთის მთავრობამ ნანკინის დაცვის საქმე ჩააბარა, ეხლა სუჯოუს მიადგა და ანგრევს. გენერალი არც მთავრობას ემორჩილება, არც-რევოლუციონერებს. მისი ჯარისკაცნი აქეთ-იქით დაძრწიან და მცხოვრებთ შავს დღეს აყენებენ: სძარცვავენ და ჰხოცავენ. პეკინიდან ბძანება ბრძანე-

---

შეზავება და გათიშვა წარმოუშობელ და გაუნადგურებელ ელემენტებისა. ადამიანები ლაპარაკობენ დაბადების და სიკვდილის შესახებ: „მე კი მსურს სხვა რამე გაუწყოთ, ამბობს გრიგენტელი ფილოსოფოსი. არ არსებობს არც დაბადება რომელიმე საგნისა, არც დასასრული გამანადგურებელს სიკვდილში. არსებობს მხოლოდ შერევა და გაცვლა-გამოცვლა შერეულისა: დაბადება მხოლოდ ადამიანების მიერ მოგონილი სახელია“. (ემპედოკლესი, „ბუნების შესახებ“.)

ეს შეზავება სხვა და სხვა პროპორციით ჰხდება და ამიტომ ცალკე საგანთა რიცხვი განუსაზღვრელია. ზოგში სჭარბობს მძიმე და ბნელი მიწა, ზოგში წყალი, ზოგში ჰაერი, ზოგში მსუბუქი და ნათელი ცეცხლი. ზოგში მხოლოდ ორი „ფესვი“ შედის შემადგენელის ნაწილად, ზოგში სამი, ზოგში ყველა ოთხი. მაგრამ ეს შეკავშირება ერთი მეორისგან დამოუკიდებელ ელემენტებისა არ ჰხდება თავის თავად, ბრმა მექანიკურის აუცილებლობით. ის ძალა მათ რომ ურთიერთ შორის ახლოვებს და აკავშირებს მეგობრობა ანუ სიყვარულია.

არის დრო როცა სიყვარული უცილობლად ბატონობს სამყაროში თვითმპყრობელი ბრძანებელივით და მაშინ ყველაფერი ერთად არის შედუღებული. მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი უძლიერესი მეგობრობით გამსჭვალულნი ერთად არიან გადახვეულნი, როგორც ეს მოსიყვარულე არსებად შეჰშვენის. ესაა პირველი ხანა მსოფლიო ცხოვრებაში. ამ ხანაში „სფეროსი“ უდიდეს ნეტარებას განიცდის. მაგრამ თან და თან ძლიერდება მეორე კოსმიური ძალა, რომელიც ექიშპება და ეწინააღმდეგება იმ ელემენტარულს სტიქიას სიყვარულისას: ესაა მტრობა ანუ სიძულვილი, გათიშვას რომ იწვევს და ასაზრდოებს. ამ გვარად სიყვარულის აბსოლიუტურს მეუფებას მეორე ხანაში სიყვარულის და სიძულვილის ზიარი ბატონობა მოსდევს. ჩვენ ეხლა სწორედ ამ ხანაში ვიმყოფებით, როცა ელემენტები სავსებით ერთი მეორეში შედუღებული აღარ არიან, მაგრამ არც სავსებით განცალკევებულ სფეროებს წარმოადგენენ. მესამე ხანაში კი სიძულვილი სძლევს თავის მოწინააღმდეგეს და უცილობელი ბრძანებელი ჰხდება: ელემენტები სცილდებიან ერთმანეთს და თავისი „ბუნებრივი ადგილისკენ“ მიიწევენ: მიწა იკავებს ქვევითა სფეროს მსოფლიოში, მსუბუქი ცეცხლი ზევით მიილტვის, ხოლო წყალი და ჰაერი მათ შორის თავსდებიან, როგორც ეს მათ სიმძიმეს შეეფერება. ამგვარად სიძულვილის ყოვლის შემძლებელობა ბუნებრივ საგანთა დაშლას მოასწავებს, მათ დანაწილებას შემადგენელს ელემენტებათ, რასაც ადამიანები „სიკვდილს“ და „განადგურებას“ უწოდებენ.

მაგრამ „სიკვდილი“ არ არის დასასრული მსოფლიო ჩარხის ტრიალისა: სიყვარული ხელ-ახლა თავს იჩენს და ძლიერდება, ხოლო მასთან ერთად ძლიერდება ელემენტთა ლტოლვა ურთიერთადმი. ამ ლტოლვას კი აუცილებლად ბუნებრივ საგანთა „წარმოშობა“ (ე. ი. შეზავება) მოსდევს. ამ გვარად კოსმიური პროცესი მუდმივ დაუსრულებელი რითმია, რომელშიაც მეგობრობას და გადახვევნას მტრობა და განშორება სცვლის, რათა თავის მხრივ ხელახლა მასვე დაუთმოს ასპარეზი, როცა შესაფერი მომენტი მოაღწევს.

ამ მსოფლიო მხედველობაში, ჩვენის აზრით, სრულიად ნათლად სჩანს დუალიზმის ჩანასახი. მართალია, გირგენტელი ბრძენისთვის მატერია არ არის უსიცოცხლო, მკვდარი მასსა, როგორც ეს სავსებით გარკვეულს დუალისტურს შეხედულებას აქვს წარმოდგენილი. არისტოტელის მოწმობით ემპედოკლესმა თავისი ოთხი ელემენტი ღვთაებრივ არსებად აღიარა, ღვთაებრივობა კი სულიერი შინაგნობის დამოუკიდებლად წარმოუდგენელია. „აზროვნების ძალა ყოველს არსებას აქვს, ყოველს არსებას უძევს ნაწილი შემეცნებაშიო“, სთქვა ჩვენმა ფილოსოფოსმა და ამით ნათელჰყო, თუ რავდენად ახლოა ის კიდევ პირველყოფილს ჰილოცოისმთან. მაგრამ ეს ჰილოცოისმი მტკიცე მონისებურს საფუძველზე აღარ სდგას; სიყვარული და სიძულვილი ეს ორი ადამიანური გრძნობა, რომელიც აგრეთვე კოსმიური ძლევამოსილებითაა აღჭურვილი, მატერიის გარეშე მდგომი, ტრანსცენდენტალური ძალა არის. მატერია არსებითად უცვლელი რჩება მსოფლიო ცხოვრების მიმდინარეობაში; იცვლება მხოლოდ მისი ბრძანებელი, რომელიც მას სხვა და სხვა „კონსტიტუციას“ აძლევს.

ამ ძირითადს ნატურფილოსოფიურს რწმენასთან საინტერესო ბიოლოგიური შეხედულებაა შეკავშირებული, ორგანიულ არსებათა სამეფო ნაყოფია თანდათანობითი გაუმჯობესებისა. მცენარეები უწინ აღმოცენდნენ ვიდრე ცხოველები, ნაკლებ დამთავრებულ არსებათა „წარმოშობა“ წინ უძღვის სრულ არსებათა „გაჩენას“. ეს „გაჩენა“ კი როგორც ვიცით მხოლოდ ერთნაირი სინტეზი ანუ შეკავშირებაა. რთული ორგანიზმები ჯერ კიდევ არსად იყო, როცა დედა-მიწის ზურგი სავსე იყო განცალკევებული, ერთი მეორესაგან დამოუკიდებელი ასოებით. „მრავალი უკისრო თავი, მხრებს მოცილებული ტიტველი ხელი, უშუბლო თვალი დაძრწოდა მაშინ ნიადაგის ზედაპირზე უგზოუკვლოდ და სხვა ასოებს ეძებდა შესაკავშირებლად“. (ემპედოკლესი „ბუნების შესახებ“) მათმა შეკავშირებამ კი, სხვათა შორის, ბევრი უცნაური ნაყოფი გამოიღო: ბევრი ორთავიანი და ორმკერდიანი ქმნილება აღმოცენდა, ბევრი არსება, რომელიც ერთის მხრით მამაკაცი იყო, ხოლო მეორე მხრით ხარი, ან წელს ზევით ადამიანი, ხოლო წელს ქვევით ცხოველი, ბევრი შერეული სულიერი აქ მამრობითი, ხოლო იქ მდედრობითი სქესისა, აღჭურვილი დაჩრდილული სასირცხო ასოებით“. (იქვე). მაგრამ ეს უცნაური და საშინელი არსებანი ჩქარა დაიღუპნენ არსებობის ბრძოლაში. გადარჩნენ მხოლოდ ისეთი ორგანიზმები, რომელნიც შინაგანი კავშირით იყვნენ განმტკიცებულნი და ცხოვრების ნიჭი გამოიჩინეს.

ამ გულუბრყვილო ზოოგონიაში ტლანქად, მაგრამ აშკარადაა გამოთქმული ერთი ძირითადი იდეა თანამედროვე ბიოლოგიისა: დარვინის მიერ აღმოჩენილი და დასაბუთებული პრინციპი „ბუნებრივი შერჩევისა“.

მაგრამ ემპედოკლესი გოეტეს და მისი „შედარებითი მორფოლოგის“ წინამორბედადაც შეიძლება ჩაითვალოს: მისი აზრით სხვა და სხვა, პირველი შეხედვით უშორეულეს არსებათა შორის მახლობელი ნათესაობა არსებობს. საკმაოა დავუკვირდეთ მათ ორგანოებს, რომ ეს ნათესაობა აღმოვაჩინოთ: „ერთი და იგივეა თმა და ხის ფოთოლი და ბუმბული ფრინველთა“. ეს ნათესაობა კიდევ უფრო შორს მიდის: ის მჭიდროდ აკავშირებს ადამიანს სამყაროსთან. ადამიანი არაა სამყაროს მოწყვეტილი არსება, ის ახლობელი ნათესავია კოსმიური ელემენტებისა. მიკროკოსმოსი სრულიად ახალია მაკროკოსმისა და მის შინაგანს ბუნებას არ აკლია არც ერთი ძალა, არც ერთი ნივთი, რომელსაც იმ დიადს, დაუსრულებელს მსოფლიოში აქვს სადმე ადგილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო ადამიანი ვერ შესძლებდა სამყაროს შემეცნებას: მიტომ რომ მხოლოდ ნათესავი სცნობს ნათესავს, სრულიად უცხო და შორეული კი შეგნებისთვის მუდმივ მიუწდომელია. შემეცნებასა და შეცნობილს შორის ანალოგია არსებობს. „ჩვენ მიწას მიწისვე შემწეობით ვხედავთ წყალს წყლით, ღვთაებრივს ჰაერს ჰაერით, ხოლო ცეცხლით გამანადგურებელს ცეცხლს; ჩვენი სიყვარულით მსოფლიო სიყვარულს ვცნობთ. ხოლო ჩვენი სამწუხარო სიძულვილით მის სიძულვილს“ (ემპედოკლესი „ბუნების შესახებ“)

ამგვარად ადამიანის შემეცნება უტყუარი სარკეა გარეშე ქვეყნისა; გრძნეული შეთვისება მექანიკურ მოძრაობათა შემწეობით ჰხდება: გარეშე საგნებს სცილდება პაწია, მომაკვდავისთვის მიუწდომელი, უხილავი ნაწილები და შედის იმ ჭუჭუტანებში, რომელითაც თვალის ზედაპირია აღჭურვილი. ამგვარად მხედველობა არსებითად მატერიალურ საგანთა შეხებაა, თუმცა უფრო ნაზი და მგრძნობიარე, ვიდრე ჩვეულებრივი შეხება.

თვით გონებრივი ძალაც, თვით სულიერი ცხოვრების მთლიანობაც მატერიალურს ქვეყანასთან არის მჭიდროდ შეკავშირებულ. ის მასთან ერთნაირს პარალელურს ურთიერთობაში იმყოფება. გონებას სავსებით არც ერთი საგანი არ არის მოკლებული. მაგრამ გონებრივი ძალა მით უფრო დიდია, რაც უფრო რთული და ყოველ მხრივაა მისი მატერიალური მატარებელი. ადამიანი, როგორც ურთულესი მატერიალური სხეული, უაღრესი აზროვნებით არის აღჭურვილი. „გულისგან მჩქეფარე სისხლთან“ არის აზრთა მიმდინარეობა შეკავშირებული და როცა გულის ცემა შეჩერდება, როცა სხეული დაიშლება და „მოკვდება“, მასთან ერთად დაიშლება და გაჰქრება მომაკვდავი სულიც.

მაგრამ ადამიანის სული ორმაგია. მომაკვდავს სულს გარდა არსებობს უკვდავი სული, „დემონი“, რომელიც ციური სამშობლოდან ჩამოვარდნილა ამ „უბედურების ველზე“. ის არაა მატერიასთან შეკავშირებული: ის წარმოუშობელი და წარმოუვალია, როგორც ეს ღვთაებრივს პრინციპს შეეფერება. ადამიანობის სფეროში ის ნაკლებ მომქმედია: „ღმერთებისგან წარმომდგარს ფსიხეს სძინავს, როცა ასოები ფხიზლად არიან“ (პინდარი). სამაგიეროდ ის ხელ ახლა იღვიძებს ახალი ცხოვრებისათვის, როცა ის აქტიური ძალა სუსტდება და კვდება. ადამიანის სხეულში შესვლამდეც მან დიდი გზა გავლო: „მე ერთს დროს უკვე ყმაწვილი ვიყავი, შემდეგ ქალიშვილი, ბუჩქი, ფრინველი და მცურავი, მუნჯი თევზი“, (ემპედოკლესი, სინანულის საგალობელი“). მხოლოდ ხანგრძლივი მგზავრობის, მონანიებისა და განწმენდის შემდეგ ბრუნდება სული თავის ზეციურს სავანეში და ღვთაებად ჰხდება. ღვთაება კი მომაკვდავის მსგავსი არსება არ არის; აპოლონი არა ჰგავს ადამიანს: „ის წმიდა, ენით გამოუთქმელი არსებაა, რომელიც მსოფლიოს გარს უვლის უსწრაფესი აზრის მსგავსად“.

—

ემპედოკლესის უფროსმა თანამედროვემ—**ანაქსაგორასმა** საბოლოოდ გადალახა ის პირველ-ყოფილი მონისმი („ჰილოცოისმი“), რომელიც სიცოცხლის ძალას თვით მატერიის შინაგან პრინციპად აღიარებდა. მან გათიშა სული და სხეული, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ნაკლებ კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებისათვის, და მატერია (ყოველს შემთხვევაში ჩვეულებრივი ნივთიერება) უსიცოცხლო, უსულო მასსად დასახა. ამგვარად მან პირველად ნათლად წამოაყენა დუალისტური სისტემა და მასთან ერთად-ერთი უძირითადესი ფილოსოფიური საკითხი, რომლის გადაწყვეტას საუკუნოების განმავლობაში ამაოდ სცდილობს კაცობრიობა. ესაა საკითხი, თუ რა დამოკიდებულებაში იმყოფება მატერიალური პრინციპი სულიერს პრინციპთან, ფიზიკური ყოფნა ფსიხიურს ყოფნასთან.

ანაქსაგორასი წარმოშობით მცირე აზიელი იყო, ქალაქ კლეცომენეს (დღევანდელ სმირნის ახლო მდებარეობდა), შვილი და დაახლოვებით 500 წ. დაიბადა. გონებრივი მო-

ბაზე მისდის, სხვა და სხვა მოვალეობას აკისრებენ გენერალს, მაგრამ ჩჟანი არ ემორჩილება და თავისას განაგრძობს.

ბრძოლის განახლება.

შანსის პროვინციის რევოლუციონერები მთავრობასთან საბრძოლველად ემზადებიან.

„დეილ ტელეგრაფის“ სიტყვით რევოლუციონერთა კომიტეტს გადაუწყვეტია მთავრობასთან ყოველგვარი მოლაპარაკება მოსპოს და პეკინზე გაილაშქროს. რევოლუციონერთა ჯარი 60 ათას კაცს აღემატება. ამ ჯარის ერთი ნაწილი გაჰგზავნეს დაქირავებულ გემებით, დანარჩენი ფეხით წავა.

ზუტინფანმა დეპეშა გაუგზავნა სამხრეთ პროვინციათა მცხოვრებლებს, გაიხიზნეთ, რევოლუციონერები ჩქარა პეკინს მოვადგებითო. ამბობენ, იუანშიკაი განზრახ აჭიანურებს მოლაპარაკებას და ჰსურს ძლიერი ჯარი შეაგროვოსო.

სუნიათზენის მოთხოვნილება.

სუნიათზენმა იუანშიკაის დეპეშა გაუგზავნა და გადაჭრით მოსთხოვა, ან მეფის გვარეულობის ჩამოგდება მოახერხეო ან—სამსახურიდან გადადექიო. თუ მართლა ბრძოლა განახლდა ერთმანეთს შეებრძოლებიან რესპუბლიკელთა 160 და მთავრობის 100 ათასი ჯარისკაცი. რესპუბლიკელთა ჯარი ორ ნაწილად არის გაყოფილი: თითოში 80 ათასი კაცია, ერთი ნანკინში სდგას, მეორე —უჩანში. ამათ შუა მთავრობის ჯარია და სწადიან შეერთება დაუშალოს ორივე ნაწილს.

მონგოლეთის საკითხი.

„ნიუ-იორკ ჰერალდს“ პეკინიდან ატყობინებენ, ჩინეთს რუსეთმა წარუდგინა მოთხოვნილებანი, რაც თითქმის მონგოლეთის პროტექტორატის დაწესებას უდრის. რუსეთი მოითხოვს, რომ ჩინეთმა არ გაჰგზავნოს მონგოლეთს ჯარი და ჩინელთა იმიგრაციასაც ხელი არ შეუშალოს. გარემონგოლეთში რკინის გზის გაშენების უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ რუსეთსა. ადმინისტრაციაში მონგოლები იქნებიან მაგრამ რუსეთისგავლენის ქვეშ. თუ ყველაფერს ამას მონგოლეთი არ შეასრულებს, რუსეთი ოკუპაციით იმუქრება. გაზეთის კორესპონდენტი უმატებს, ასეთი მოთხოვნილება ჩინეთის განაწილების დასაწყისს უდრისო.

ამასთანავე ამბავი შეუტყვია „რეიტერის სააგენტოს“ და დასძენს, ჩინეთს რუსეთისთვის ჯერ პასუხი არ შეუთვლიაო.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

სუეცი. მეწამულ ზღვაზე ხელახლა გამოჩნდა იტალიელთა კრეისერი „სიტადი-კირაკუზა“.

გაზეთებიდან.

რომი.

იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა ტრიპოლიში 50 ათასი ჯარის-კაცი კიდევ გაჰგზავნოს. ნეაპოლში გემებზე უკვე წასასვლელად გამზადებულია 30 ათასი კაცი.

გარიანში ეხლა თურმე, 35 ათასამდე ოსმალი და არაბია. ზუარშიაც ათი ათასი არაბია. ტუნისით ტრიპოლიში თითქმის 1600 სურსათით დატვირთული აქლემი წავიდა. მათ იარაღიც მიჰქონდათ ოსმალთა ჯარისათვის.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

ბერლინი. არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა 28 ადგილი მოიგეს და ორი დაჰკარგეს; კონსერვატორებმა ორი მოიგეს და 9 დაჰკარგეს, იმპერიალისტა პარტიამ მოიგო 2, დაჰკარგა 10, სოფლის მეურნეთა პარტიამ ერთი მოიგო და 8 დაჰკარგა, ნაციონალ-ლიბერალებმა ორი მოიგეს, 16 დაჰკარგეს, პროგრესისტთა პარტიამ 12 დაჰკარგა, ცენტრმა—6 და პოლონელებმა-ერთი. საზოგადოდ მემარჯვენეებმა 29 ადგილი დაჰკარგეს, ნაციონალ-ლიბერალებმა და პროგრესისტებმა 26—ხოლო სოციალ-დემოკრატებმა 28 ადგილი მოიგეს.

სულ აირჩიეს 208 დეპუტატი. ამათში: ცენტრის პარტიისა—79, სოც.-დემ.—64, კონსერვატორ.—27, პოლონელი—15, იმპერიალისტი—5, სოფლის მეურნე—2, ნაციონალ-ლიბერალი—4, ელზას-ლორენელ ცენტრის პარტიისა—7, უპარტიო—1, სოფლის მეურნეთა კავშირისა—გლეხების კავშირისა—1, დანიელი—1 და ლოტირიანგელი—1. ხელმეორე კენჭის ყრაში სხვა და სხვა ადგილას მონაწილეობას მიიღებს 122 სოც.-დემ., 42 კონსერვატორი, 17, იმპერიალისტი, 29 ცენტრის პარტიისა, 10 პოლონელი, 64 ნაციონალ-ლიბერალი, 4 სოფლის მეურნეთა კავშირის წევრი, 53 თავისუფალი მოაზრე. სოფლის მეურნეთა აგრართა კავშირის მეთაური განი გააშავეს.

პარიზი. პუანკარე დასთანხმდა კაბინეთის შედგენას.

ახალი კაბინეთის წევრნი: გარეშე საქმეთა და მინისტრ-პრეზიდენტი—პუანკარე, ვიცე-პრეზიდენტი და იუსტიციის მინისტრი-ბრიანი, შინაგან საქმეთა-სტეგი, სამხედრო-მილიერანი, საზღვაო—დელკასე. ფინანსთა—კლოტცი, საზოგადო სამუშაოთა—ჟან-დუპუი, მიწათმოქმედებისა—პამსი, ახალშენებისა—ლებრენი, სამუშაოებისა—ლეონ ბურჟუა, განათლებისა—გისტო, ვაჭრობისა—ფერდინანდ დავითი;—სტატს-სეკრეტართა თანაშემწედ: ხელოვნებისა-ბერანი, ფოსტისა და ტელეგრაფისა—შომე, ფინანსთა—ბენარი. „მატენის“ სიტყვით მინისტრთა დეკლარაცია საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების საჩქაროდ განხილვას მოითხოვს.

ბერლინი. გარდა სოციალ-დემოკრატთა გაზეთებისა, რომელნიც ძალიან გახარებულნი არიან არჩევნებში გამარჯვებით, სხვა გაზეთები აშვიდობიანის კილოთი მსჯელობენ არჩევნების თაობაზე. გაზეთები აღნიშნავენ სოციალიზმის ზრდასა და ლიბერალიზმის დამარცხებას. ლიბერალთა პრესა ამომრჩეველებს სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმებას ურჩევს შავ-ლურჯთა ბლოკის დასამარცხებლად. კონსერვატორები და ცენტრის პარტიის წევრნი აფრთხილებენ, მაგათ რჩევას არ აჰყვეთო.

რუსეთი.

პეტერბურგი. სინოდის სამეურნეო გამგეობის დირექტორი დამანსკი ობერ-პროკურორის ამხანაგად დანიშნეს.

ფინლანდიის სეიმს უმაღლესად ებრძანა შეიკრიბოს 1 მარტს ახალის წელთ აღრიცხვა.

მოსკოვი. ბირჟისა, თავად-აზნაურობისა, ერობისა და ქალაქის წარმომადგენელთაგან კომიტეტი შეადგინეს ინგლისელ სტუმართა პატივსაცემად.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ 1912 წელს აკიმოვი დაინიშნა, მის ამხანაგად—გოლუბევი.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. ზ. ს. სახალხო სახლთან არსებულმა ქართ. წარმოდგ. მმართველმა წრემ არ დაივიწყა ქართულ თეატრის მამამთავარი გიორგი ერისთავი და იმის გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო პარასკევს, 30 დეკემბერს მის ხსოვნის პატივსაცემლად სალამო გამართა. სალამო რამდენიმე განყოფილებისაგან შესდგებოდა: პირველად ბ. გოლა ახრახაძემ კარგის სასაუბრო ენით დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა გ. ერისთავის ბიოგრაფიული ცნობანი. ეს საუბარი ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ ბ. ახრახაძე ზოგიერთ წვრილმან, ხალხისთვის ნაკლებად საყურადღებო, ცნობებს არ გამოჰკიდებოდა და თვით საუბრის ბოლო (ეტყობა, დაჩქარების გამო) მეტად არ შეეკუმშა.

შემდეგ წარმოდგენილ იქმნა იუბილიარის (თუ შეიძლება ესე ვთქვათ, რადგან ეს საყურადღებო იუბილე მეტად მკრთალად ჩაატარეთ ქართველობამ) ორი პიესა: 4 მოქ. „გაყრა“ და 1 მოქ. კომედია „დავა“.

გასაკვირველია, რომ ამ პიესების დაწერის შემდეგ გაიარა სამოც წელიწადზე მეტმა და ეხლაც მაყურებელი ისმენს საკმაო ინტერესით, იმდენად ნიჭიერად და საგნის ცოდნით არის დაწერილი. ორივე პიესამ შედარებით, მწყობრად ჩაიარა და ჯანსაღ სიცილით გამხიარულა მაყურებელნი. განსაკუთრებით კარგი იყო, ჩვენში შეუდარებელი კომიკი (თუ ვ. აბაშიძეს არ მივიღებთ მხედველობაში) ბ. ნ. გოცირიძე. (მიკირტუმ გასპარიჩის და სარქისას როლებში). მეტად ბუნებრივი ძველებური თავადიშვილი—ანდუყაფარი იყო ჩვენი დამსახურებული მსახიობი ბ. კ. ყიფიანიც.. მსახიობ ქალთა ძალებით ღარიბია სახალხო სახლი და ამიტომ კაი შეძენაა იმისთვის, თუ ქ-მა შ. კორინთელმა კვლავაც განაგრძო იქ თამაში. და როგორც გაგვიგონია, კაი ხნის წინად ქართულ დასში იღებდა ხოლმე მონაწილეობას. ამ დღესაც საკმაო ბუნებრივობით ჩაატარა მაკრინეს როლი. დანარჩენთაგან აღსანიშნავია ქ. ბეჟანიშვილი (თათელა), ბ. ბ. ფრონისპირელი (ბარამ მოურავი) და შანშიევი (მიეილ-აფიცერი).

ბოლოს დაიდგა ცოცხალი სურათები გ. ერისთავის ტიპებიდან. ხალხი საკმაოთ დაესწრო.

—**ციხელი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

მწიფების ხანაში ის ათინაში გადასახლდა, სადაც, სხვათა შორის, დიდს სახელმწიფო მოღვაწეს ჰერიკლესს დაუმეგობრდა. ჩვენი ფილოსოფოსი მოწმე გახდა როგორც ათინის პოლიტიკური და გონებრივი აყვავებისა, ისე მისი დაქვეითების დასაწყისისა. პარტიული ბრძოლის გამწვავების ხანაში მას სარწმუნოების გმობა დასწამეს და რესპუბლიკის საზღვარებიდან განაძევეს. ის ხელ-ახლა სამშობლოში დაბრუნდა, სადაც თავისი დიდი ფილოსოფიური თხზულება („ბუნების შესახებ“), დაამთავრა.

ანაქსაგორასი, როგორც პიროვნება, არა-ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენს. ის მოუდრეკელი დოგმატიკოსია, თავისუფალი იჭვისა და სკეპტიციზმისაგან. პარმენიდესის და ელეატური სკოლის წინააღმდეგ მას შეურყევლად სწამს ყველაფერი, რასაც გრძნეულნი ნიჭნი (მხედველობა, სმენა, შეხება და სხვა) მოწმობენ. ფილოსოფიური კვლევა-ძიების გზაზე საკუთარი გონება მას უტყუარს წინამძღოლად მიაჩნია. ფაქტების ხმა მას ნაკლებ აინტერესებს, ვიდრე მეტაფიზიკური დასკვნანი. მას აკლია შემოქმედებითი ფანტაზია და სინამდვილის ინტუიტიური მიმღეობა, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერი ლოგიური ნიჭი აქვს. ის მოუხეშავია, მშრალი და უბრალოა როგორც აზროვნებში, ისე გამოთქმაში, მაგრამ ეს უბრალოება ხშირად გულუბრყვილობამდე მიდის. განსაკუთრებით მაშინ, როცა ის კოსმიურს მოვლენებზე ისეთი დაბეჯითებით მეტყველებს, თითქო ყველაფერი თავისი თვალით ჰქონდეს ნანახი.

ყოველი ჭეშმარიტი დოგმატიკოსი ისტორიას ხელ-ახლა თავისი საკუთარი პიროვნებით იწყებს, თითქო წინამორბედნი არ არსებობდნენ ან არარაობას წარმოადგენდნენ. ეს განსაკუთრებით ჩვენს ფილოსოფიაზე მართლდება. ის პასუხი, რომელსაც იმ ძირითადს ნატურფილოსოფიურს საკითხზე იძლევა მრავალ-მხრივ სავსებით ეწინააღმდეგება როგორც ძველი, იონიელების და პითაგორელების, ისე ჰერაკლეიტოსის და ელეატელების პასუხს; ანუ უკეთ ვთქვათ, ის ამ მხრივ სრულიად უყურადღებოდ სტოვებს ფილოსოფიურ წინამორბედთა შრომას და ხელახლა გულუბრყვილო მსოფლიო მხედველობას უახლოვდება.

გარეშე ქვეყანა არსებობს სწორედ ისე, როგორც ამას ჩვენი მხედველობა, სმენა და შეხება გვასწავლის: გრძნეულად შეთვისებული ქვეყანა იგივეა, რაც ობიექტიურად არსებული. მაშასადამე, ამ უკანასკნელში სწორედ იმდენი ერთი მეორისგან დამოუკიდებელი საგანი არსებობს, რამდენსაც ვითვისებთ ჩვენ გრძნეულ ნიჭთა შემწეობით. თვისებათა ცვალებადობა არ არსებობს: „შეუძლებელია რომ თმა არა თმისა ან ხორცი არა ხორცისგან წარმომდგარიყო“. ამიტომ ელემენტთა, ანუ ძირითად ნივთთა რიცხვი განუზომელია.

სამყაროს საფუძვლად უძევს არ ერთი „არხეჲ“, არა ოთხი „ფესვი“, არამედ ურიცხვი „თესლი“ („სპერმა“). თითქმის ყოველი ორგანიული და არა ორგანიული ნივთი ასეთი უბრალო ელემენტი, ასეთი დაუნაწილებელი თესლია. პირიქით მიწა-წყალი და ჰაერი ურთულესი აგრეგატებია: ისინი სავსეა ყოველგვარი „თესლებით“, ყოველგვარი ელემენტებით და თუ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ ეს იმიტომ კი არა, რომ გრძნეულნი ნიჭნი გვატყუებენ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საკმაოდ ძლიერნი არ არიან. სამაგიეროდ, გონება სავსებით ადასტურებს ამ დასკვნას: ორგანიულნი არსებანი საზრდოობენ ნიადაგით, წყლით და ჰაერით და ეჭვი არ არის, როგორც მცენარეთა ფოთოლის, ღეროს და ძირის, ისე ცხოველთა ბეწვის, ხორცის და ძვლის ნაწილები მათ შორის არის გაბნეული.

ეს „თესლები“ არსებითად უშობელნი არიან, ისინი დასაბამიდანვე ერთნაირს ხაოტიურს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ყველაფერი ისე იყო არეული, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო სხვა და სხვა ელემენტის გარჩევა ერთი მეორესგანა. შემდეგ დაიწყო გათიშვა და განცალკევება ანუ ბუნებრივ საგანთა „წარმოშობა“, როგორც უმართებულოდ ლაპარაკობენ ადამიანები. ეს გათიშვა კი მექანიკური მოძრაობის შემწეობით მოხდა, ერთნაირი „გრიგალის“ წყალობით, რომელიც კოსმოსის ერთს პოლუსზე დაიწყო და ყოველმხრივ განვითარდა. პირველი მიზეზი, პირველი „ბიძგი“ ამ მოძრაობას კი მსოფლიო მონებამ, „ნუსმა“, მისცა. ყველაფერი მექანიკური აუცილებლობით მიმდინარეობს სამყაროში: „მსოფლიო გონება“ მხოლოდ იწყებს კოსმიურს პროცესს.

ანაქსაგორის „ნუსი“ წმინდა სულიერი პრინციპი არ არის. ის ერთგვარი მეტის მეტად ნაზი, მეტის მეტად მსუბუქი და მოძრავი „გონიერი ნივთიერებაა“. ის დამოუკიდებელი და დაუსრულებელია, ის მხოლოდ ზოგიერთ საგნებს უერთდება. ამიტომ გონება საყოველთაო ნიჭი არ არის.

სპეციალურ ცოდნის სფეროში კლეცომენელმა ბრძენმა ბევრი საყურადღებო ჭეშმარიტება გამოსთქვა. ამ მხრივ საინტერესოა სწორი ახსნა ქარისა და სხვა მეტეოროლოგიურ მოვლენებისა და მზის და მთვარის დაბნელებისა. საინტერესოა აგრეთვე მისი რწმენა, რომ სხვა ციურნი სხეულნიც ადამიანის მსგავსი არსებითაა დასახლებული, რომელნიც ხვნენ, სთესავენ და ვაჭრობენ, „რომ იმ ადამიანებსაც დასახლებულ ქალაქები და დამუშავებული მინდვრები აქვთ როგორც ჩვენ, აგრეთვე მთვარე, მზე და სხვა ვარსკვლავები უნათებენ, რომ ნიადაგი მათ სხვა და სხვა მცენარეულობას აძლევს და სხ. (ანაქსაგორასი, „ბუნების შესახებ“).

გერონტი ქიქოძე.

განცხადებანი

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე
იღებს ავადმყოფებს სალამოობით 4 6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.
კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--8)

მუხრანის კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9 и 48 Цаціяновская подъемъ, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ № 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ა. ა. გაზაზოვი. შინაგან სნეულებანი, დილის 10--11 ს.-მდე.
გ. მ. გოგობერიძე. შინაგან და ბავშვებისა, 11--12 ს.-დე.
მ. კ. იოსელიანი. დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.
მ. ლ. შტრეიხერი. ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.
ლ. გ. საყვარელიძე. შინაგან და ბავშვ., 12 ნახ. 1 ს.დე.
იაშვილი. შინაგან, 1--2 ს.დე.
გ. ბ. მელკონიანი. ქირურგ., 12--1 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი. ქირურგიულ., 11--12 ს.-მდე.
გ. ა. ახვერდოვი. შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.
მ. დ. კილოსანიძე. ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.
კევში. კბილისა, 8--10 ს.-დე.
მ. ბ. მიკირტუმოვი. დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით. დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3--5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.
№ (646. 100--56 (--1003--199)

სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.
დაარსებულია 1830 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10--11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მლიჩი: 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და უყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11--12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12½ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,
გ. ი. გურგენოვი: 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1 1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 5--6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
მ. გ. ავეტისიანცი: 6--7 საათ.
11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტატიურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. 1168.20?)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.
(100—1615—8).

ექიმი ა. ნ. დიასამიძ
კანისა და ვენერიულ ავა
მყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3
სალამ. [illegible]
დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს
იღებს [illegible] № 8 [illegible]

სამშობიარო
თავშესაფარ
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედო
ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლეს
გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე
ლებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე
მრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და
ზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან.
მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგა
ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეშ
მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეუ
თა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და
ახლეებს ყოველ დღე, დილის 11--12 ს.-
ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ.
(თ. 1646.4) მიკირტუმოვი

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა
ცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან.
ლება პირობებით: გიმნაზიისთვის ს
და სხვა კლასებისთვის, როგორც სა
ჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლ
ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის,
მხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვი
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას
სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზ
ისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწ
მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქ
ლაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვ
ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლ
ბლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინ
სთვის. ღებულობს ანბანის უცოდინ
ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივ
იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალ
3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
ნაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მც
დნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგ
ბისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწ
ბა დილის 8 საათზე და გრძელდება საღამ
8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფრო
15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედ
პანსიონში.
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლ
ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნუ
რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв.
входъ съ подъѣзда, нижній звонок
спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (н
далеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.56)

ხელსაქმის
ქ. რიგის მაღაზია
M-me მინასი.
ტფილისი, განოვის ქ., № 6.
მიღებულია
აუარებელი ახალი რამ. (10.1618.8)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● — ●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; სამტრედიაში—ივანე გლადკოვთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, დ. ხონში—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, ოზურგეთში—ლეო იმნაძესთან, თელავში—ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, გორში ნინო ლომაურთან და ანტონ კასრაძესთან, სოხუმში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან.
რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.
(წ.—1627—9 წ.) გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

„სორაპნის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
კედლის კალენდარი 1912 წლისა,
შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.
კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგად მოღვაწეებისა. კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირ ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში, სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს. ფ ა ს ი კი ისევ ძველებურია 40 კაპ.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „სახალხო კალენდარი“, მ. გაჩეჩილაძის შედგენილი, ფ ა ს ი 20 კ. პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорапань“, М. Гачечиладзе.
(20. 1594. 19)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა